პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 280 (12438) | ხუთშაბათი, 29 ნოემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

კონტროლის ლენინური პრინციპები

კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად და განუხრელად იბრძვის კოოპერატიული მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო. იგი ახორციელებს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ხელმძღვანელობის გაუმჯობესების რევოლუციურ ღონისძიებებს, იყენებს საბჭოთა ხალხის მთელ მატერიალურ და სულიერ ძალებს კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა გადაჭრა პარტიული და სახელმწიფო მშენებლობის, სახალხო მეურნეობის მართვის ძირეული, უმნიშვნელოვანესი საკითხები.

დასახა რა სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის ორგანიზაციული გარდაქმნის გაბედული და შორსმჭვრეტელური ღონისძიებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა დიდი ყურადღება მიაქცია პარტიული სანელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერებასა და სრულყოფას, რადგან კონტროლი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ფართო მასების ჩაბმის მძლავრი საშუალებაა, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის საიმედო იარაღია, კომუნისტური აღზრდის კარგი სკოლაა.

„თანამედროვე პირობებში, — აღნიშნულია XXII ყრილობის რეზოლუციაში ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო, — პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ კონტროლს ყოველ კიბეზე მომუშავე თვითეული მუშაკის მიერ საქმის სწორი ორგანიზაციისადმი, სკკპ პროგრამისა და წესდების მოთხოვნების, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დირექტივებისა და მითითებების ზუსტად შესრულებისადმი“. გათვალისწინება, რა ეს, XXII ყრილობამ დაავალა ცენტრალურ კომიტეტს შეემუშავებინა და განეხორციელებინა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებანი. ისევე როგორც ყველა ახალი, რთული ამოცანის გადაჭრის დროს, რომლებიც პარტიის წინაშე ისახება, კონტროლის საკითხის განხილვისას ცენტრალური კომიტეტი ეყრდნობოდა ვ. ი. ლენინის მითითებებს, ლენინურ ორგანიზაციულ პრინციპებს, შემოქმედებითად ავითარებდა მათ ახალ პირობებში.

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კონტროლისა და შესრულების შემოწმების ორგანიზაციას თავიდან ბოლომდე. ადამიანთა შემოწმებას, საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმებას მას მიაჩნდა მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის ღერძად. ლენინმა ყოველმხრივ დაამუშავა საბჭოთა სახელმწიფოში კონტროლის ორგანიზაციის პრინციპები, მისი, როგორც პარტიისა და სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი მუდმივად მოქმედი იარაღის, არსი და ამოცანები. ფუძემდებელი ლენინური პრინციპია ის, რომ საჭიროა პარტიული და სახელმწიფო კონტროლის შეერთება. პარტიისა და სახელმწიფოს დიდ ბელადს მიაჩნია, რომ ასეთი შეერთება წარმატებით მუშაობის საწინდარია, ჩვენი პოლიტიკის განსაკუთრებული ძალის წყაროა.

ლენინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ქვეყანაში შეიქმნა მწყობრი სისტემა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლისა ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშურ-გლეხური ინსპექციის მეთაურობით. იგი ბასრი იარაღი იყო პარტიის დირექტივების შესრულებისათვის, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების, ხელისუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მუქთახორებისა და სახალხო დოვლათის დამტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი მთავარი დასაყრდენი იყვნენ მშრომელთა მასები, უზრუნველყოფილი იყო მთელი მისი მუშაობის ფართო საჯაროობა, სოციალიზმის მტრები ძრწოდნენ რევოლუციური საზოგადოებრიობის ძალის წინაშე.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციის ლენინური პრინციპები უხეშად დაირღვა სტალინის პიროვნების კულტის პერიოდში, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჩამოყალიბებული კონტროლის შესანიშნავი სისტემა შეიცვალა ბიუროკრატიული საკონტროლო აპარატით. დაირღვა ერთიანი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის პრინციპი, საკონტროლო ორგანოების მუშაობაში მონაწილეობას ჩამოაშორეს მშრომელი მასები.

პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებმა, რაც პარტიამ უკანასკნელ წლებში განახორციელა, საშუალება მოგვცა რამდენადმე გაგვუმჯობესებინა საკონტროლო ორგანოების მუშაობა. მაგრამ ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი დიდი ნაკლოვანებანი კონტროლის ორგანიზაციაში, არ აღდგენილა პარტიული და სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციული სტრუქტურა ისე, როგორც იგი ილიჩს ესმოდა. ჩვენ არ გვქონდა ერთიანი საკონტროლო ცენტრი. ამის შედეგად კონტროლის ორგანოები დამაკმაყოფილებლად ვერ მოქმედებდნენ, ცუდად ამოწმებდნენ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დირექტივების შესრულებას, სუსტად ეწეოდნენ ბრძოლას თვალსაზრისების, მტაცებლობის, მექრთამეობის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

ПРАВДА

28 ნოემბრის მოწინავე

☆

პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია გარდაქმნა კონტროლის სისტემა ჩვენს ქვეყანაში, საფუძვლად დაედო მისთვის ლენინური მითითება, რომ უნდა შეერთდეს პარტიული და სახელმწიფო კონტროლი, შეიქმნას ერთიანი მუდმივად მოქმედი კონტროლის სისტემა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მშრომელთა ფართო მასები.

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შექმნის შესახებ. შესაბამისი ორგანოები შეიქმნება ადგილებზე, ამრიგად, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საფუძველი ჩაუყარა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ლენინური პრინციპების აღდგენასა და მტკიცედ დაცვას.

როგორია კონტროლის ორგანოების მთავარი ამოცანები? ისინი მკაფიოდ და ნათლად განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში: აქტიური დახმარება გაუწიონ პარტიასა და სახელმწიფოს სკკპ პროგრამის შესრულებაში, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების სისტემაში ფეხმოკიდებული ორგანიზაციაში, კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფაში, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვაში. კონტროლი უნდა ეხმარებოდეს პარტიას გააუმჯობესოს საგეგმო ორგანოების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, საწარმოებისა, და მშენებლობების მუშაობა. უაღრესად საჭიროა, რომ ყოველდღიური კონტროლი გაეწიოს იმას, თუ როგორ ვლინდება და ამოქმედდება უმდიდრესი შინაგანი რეზერვები, როგორ უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი, როგორ მცირდება მისი თვითღირებულება და დიდდება შრომის ნაყოფიერება. კონტროლის ორგანოები და ნებაყოფლობითი კონტროლიორების მილიონნიანი მასები შიშის ზარს უნდა სცემდნენ წუნისმკეთებლებს, რომლებიც ზიანს აყენებენ თვითეულ მშრომელს, მთელ საზოგადოებას!

ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია საბჭოთა კანონების დარღვევის, სახელმწიფო და კოოპერაციული სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დატაცების და გაფლანგვის, მექრთამეობის ფაქტები და ჩვენი სოციალისტური წყობილებისათვის უცხო სხვა მოვლენები. ჩვენ სამუდამოდ უნდა მოვუღოთ ბოლო ამ სამარცხვინო მოვლენებს. ამიტომ კონტროლის ორგანოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აღკვეთონ თვალის ახვევა, წამატებანი, კუთხურობა, მექრთამეობა, სახელმწიფო მატერიალურ ფასეულობათა მფლანგველობა და დატაცება, ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება. კონტროლის ახალმა ორგანოებმა არა მარტო უნდა შეამოწმონ და დასაჯონ, არამედ, რაც მთავარია, უნდა აღკვეთონ ბოროტმოქმედების შესაძლებლობანი, აღწარმონ ადამიანები, თავიდან აგვაცილონ შეცდომები.

ვაწყობთ რა კონტროლს ლენინურად, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი ძალაა მშრომელთა უფროსოეს მასებზე დაყრდნობა. ჩვენში არის პარტიის 10 მილიონი წევრი, 20 მილიონი კომკავშირელი პროფკავშირის 66 მილიონი წევრი. ეს უდიდესი ძალები უნდა ავამოძრაოთ, გამოვიყენოთ ნამდვილი, ქმედითი კონტროლისა, და შესრულების შემოწმების ორგანიზაციისათვის. „ხალოდ მუშაკნის, კოლეტუნნეების, ინტელიგენციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური დახმარებით შეიძლებთ, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე. — მაბარად დავუჭიროთ ყველა შესასვლელი და ხვრელი ყალთაბანდიზმს, მექრთამეებს, მუქთახორებს, ბიუროკრატებს, ყველა იმათ, ვინც ხელს უშლიენებს სახელმწიფო დოვლათს. უმაცრესი კონტროლი უნდა დავაწესოთ შრომის ოდენობისა და მოხმარების ოდენობისადმი“.

კონტროლის საქმის სული და გული და ორგანიზატორი, მისი წარმმართველი ძალა უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციები. ისინი მოვალენი არიან ხელმძღვანელობდნენ კონტროლის ორგანოების მთელ მუშაობას, მუდმივ დახმარებას, ყურადღებასა და მხარდაჭერას უწევდნენ მათ. პარტიული ორგანოები მოწოდებული არიან იზრუნონ იმისათვის, რომ საკონტროლო ორგანოებში სამუშაოდ შერჩეულ იქნენ იდეური, პრინციპული; გამოცდილი მუშაკები, იგზავნებოდნენ საუკეთესო კომუნისტები, ფართოდ ჩაბმან კონტროლის განხორციელებაში პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები.

ამჟამად, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციის დროს, უეჭველია, გამოგვადგება ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშურ-გლეხური ინსპექციის კონტროლის ორგანოების მუშაობის ძვირფასი გამოცდილება, რომელთა შექმნასა და საქმიანობას ლენინური პრინციპები დაედო საფუძვლად. რა თქმა უნდა, ეს გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ შემოქმედებითად, გავითვალისწინოთ საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახალი ეტაპი — გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ეტაპი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი მოითხოვენ კიდევ უფრო ავამაღლოთ ყველა პარტიული ორგანიზაციის, პარტიული კომიტეტების პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებისათვის, ჩავუნერგოთ ყველა მუშას, ყველა კომუნისტს დისციპლინის და პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, რათა თვითეულმა მუშაკმა გამოიჩინოს რევოლუციური მგზნებარება, მთელი ძალა და ღონე მოახმაროს კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის, პარტიულ-სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის სრულყოფის ღონისძიებანი, რომლებიც მზურვალედ და ერთსულოვნად მოიწონეს მთელმა პარტიამ და ხალხმა, ამრავლებენ ჩვენს ძალებს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.



სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი აღმავლობით შრომობენ დიდი ქიმიის მუშაკები რუსთავში. ახლა მათი მთავარი ამოცანაა რაც შეიძლება მალე მისცენ სახალხო მეურნეობას რუსთავის სინთეზური ბოჭკო.

სურათზე: რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის გამომყვან-გადამხვევ საამქროში. წინა პლანზე მუშები ლ. ჩაიკინა (მარცხნივ) და ლ. კავთელიშვილი ახალ დაზგებს მართავენ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შექმნის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღგენენ:

შეიქმნას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 27 ნოემბერი.

ცოდნა და შრომისმოყვარეობა ერთგული მეგობრები არიან

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ვერგელ მოსწავლეებს

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა წერილი გაუგზავნა როვნოს ოლქის ვერბის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს. მათ კარგად იშრომეს წარსულ ზაფხულში, თავიანთ ნაკვეთზე მოიწიეს 2.638 ცენტნერი სიმინდის ტარო, ე. ი. თითოეულ ჰექტარზე მოიყვანეს 131 ცენტნერი სიმინდი, ანუ 105,5 ცენტნერი ხმელი მარცვალი.

ეს თავიანთი დიდი სახარული ბავშვებმა გაუზიარეს ნიკიტა სერგის-ძეს და წერილი მისწერეს. ისინი წერდნენ, რომ ზაფხულის დადგეგს სკოლის შეფმა — კოლმეურნეობა „უკრაინამ“ გამოუყო მათ 20 ჰექტარი მიწა, მისცა თესლი და საჭირო მანქანები, რომ მოსწავლეთა ბრიგადამ იკისრა თითოეულ ჰექტარზე მოეყვანა 105 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, კარგად იშრომა მთელ ზაფხულს, გულმოდგინედ უვლიდა მცენარეებს.

ბავშვები იმასაც იტყობინებიან, რომ გადაწყვიტეს მომავალ წელს იბრძოლონ ჰექტარზე 120 ცენტნერი სიმინდის მარცვლისათვის, რომ კოლმეურნეობამ უკვე გამოუყო სკოლას 30 ჰექტარი მიწა.

ნიკიტა სერგის-ძემ უბასუხა ბავშვებს, თქვენმა წერილმა ძალიან გამახარიო. განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რომ ყველა მოსწავლე წარმატებით ეუფლება ცოდნას, რომ მათ არა ჰყავთ ორწლიანები, ხოლო მეტი წილი ბავშვები ფრიადსა და კარგზე სწავლობენ. ეს მეტად საჭიროა, წერს ნიკიტა სერგის-ძე, რადგან კომუნიზმის მშენებლობა შეიძლება მხოლოდ იმ ადამიანებმა განახორციელონ წარმატებით, რომლებიც დაეუფლებიან ცოდნას, ტექნიკას.

კარგია, რომ შეიყვარეთ შრომა, იგრძენით შრომის სიხარული, ისწავლეთ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მართვა, ნათესთა მოვლა და უხვი მოსავალი მოიყვანეთ, მისწერა ნ. ს. ხრუშჩოვმა. გახსოვდეთ, თუ არ შრომობ, არ გიყვარს შრომა, არ შეიძლება ნამდვილი ადამიანი იყო.

ბავშვებო, ცოდნა და შრომისმოყვარეობა ისეთი ერთგული მეგობრები არიან, რომლებიც არასოდეს არ გიმტყუნებენ ცხოვრებაში.

წერილის დასასრულს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ბავშვებს, მათ მასწავლებლებს, აღმზრდელებსა და სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელებს შემდგომი წარმატება უსურვა სწავლასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. (საკდესი).

ა. ი. მიკოიანი შეხვდება კენედის

ვაშინგტონი, 28 ნოემბერი. (საკდესი). თეთრმა სახლმა გუშინ გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კენედი შეხვდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. მიკოიანს ხუთშაბათს, 29 ნოემბერს.

კიდევ ერთი აფეთქება

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი. (საკდესი). ატომური ენერგიის კომისიამ გუშინ გამოაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს მცირე ძალის ატომური იარაღის მორიგი მიწისქვეშა აფეთქება ნევადის შტატში.

თეთრი სახლის განცხადება

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი. (საკდესი). თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ პრეზიდენტმა კენედიმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები იკისრებენ „შუამავლობას“ იემენის კონფლიქტის მოწესრიგებაში, რომელშიც ჩარეული არიან შუა აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებიც. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, პრეზიდენტმა კენედიმ წარსულ კვირაში წერილი გაუგზავნა საუდის არაბეთის, იორდანიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და იემენის სახელმწიფოთა მეთაურებს. შუა აღმოსავლეთის ამ ქვეყნების არც ერთ ხელმძღვანელს ჯერჯერობით არ გამოუგზავნია პასუხი.

კენტაგონის ცნობა

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კარიბის ზღვაში კრიზისის გამწვავების დროს თავი მოუყარეს შეერთებული შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ახლა ბრუნდებიან თავიანთი დისლოკაციის ადგილზე.

თავდაცვის სამინისტროს ცნობაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ მთელ რიგ საზღვაო ქვეგანაყოფებს, რომლებიც გადაყვანილი იყვნენ გუანტანამოში — ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზაში კუბაში, — აგრეთვე დააბრუნებენ „მათ ადგილზე“.

მოგვითხრობენ პლენუმის მონაწილენი

ნათელი ამოცანები

ჩემთვის საამაყოა, რომ მონაწილეობა მივიღე პარტიის ნოემბრის პლენუმის მუშაობაში. ის, რაც კრემლის დიდ სასახლეში ვნახე და მოვისმინე, საბოლოოდ მარწმუნებს, თუ რაოდენ ზრუნავენ მშობლიური პარტია და საბჭოთა მთავრობა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

ვზივარ შესანიშნავ დარბაზში და მთელი გულისყურით ვუსმენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმაშინაარსიან მოხსენებას, პლენუმზე თვითეული ორატორის გამოსვლას.

ყველა ერთსულოვნად იწონებდა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას, სადაც ლაპარაკია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სახალხო მეურნეობის განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაზე, პარტიის მიერ დასახული ახალი ამოცანების შესრულებაში თვითეული საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაზე.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ გააზრებული, ენერგიული და შემოქმედებითი შრომით. ამის მაგალითს იძლევა ჩვენი კოლექტივი. მე ვფიქრობ, კოლექტივმა, რომელმაც ძირითადი პროდუქციის გამოშვების მხრივ შვიდწლედის საკონტროლო ციფრების დონეს სამი წლით ადრე მიაღწია, რა თქმა უნდა აქვს უფლება იამაყოს.

და ყოველივე ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოპოვებულ იქნა ქარხნის მთელი კოლექტივის შემოქმედებითი და გონივრული შრომის შედეგად. მარტო საგლინავ დგან „400“-ის მაგალითი ავიღოთ. მის სრულ ავტომატიზაციაში, რომელიც მსოფლიოში პირველად ჩვენ განვახორციელეთ, მონაწილეობა მიიღო ქარხნის მთელმა კოლექტივმა. მის ძირითად ავტორებს კი ლენინური პრემია მოგვენიჭა.

და ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ სასიხარულო იყო ჩემთვის, როცა მოსკოვში მივიღე ჩემი კოლექტივის მიერ გამოგზავნილი დეპეშა, რომლითაც მატყობინებდნენ: „ვდგავართ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ თქვენი აქ არყოფნის დროს დავამყარეთ მილების გლინვის ახალი რეკორდი — ერთ ცვლაში გავგლინეთ და სამშობლოს საკეთილდღეოდ დავამზადეთ 600 ტონაზე მეტი მილი...“

აი რა შეუძლია საბჭოთა ადამიანს, რომელიც ფლობს ტექნიკას, ნერგავს კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის აუცილებელია ტექნიკური პროგრესი. ამიტომ პლენუმმა შეიმუშავა სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქციო ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის ახალი ფორმები, რომლებიც მიმართულია ტექნიკური პოლიტიკის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციისაკენ. შეიმუშავა აგრეთვე ღონისძიებანი მშენებლობის, დაგეგმვის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის ხელმძღვანელობის გარდასაქმნელად.

ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი პლენუმის მუშაობაში დაიკავა წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის დემოკრატიული პრინციპების განვითარებამ და საზოგადოებრიობის როლის შემდგომმა ამაღლებამ. პლენუმმა ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიიჩნია შეიქმნას საწარმოებსა და მშენებლობებზე ფართო წარმომადგენლობითი ორგანოები — საწარმოო კოლეგიები, რომლებსაც მუშამოსამსახურეთა საერთო კრებებზე აირჩევენ. ეს საწარმოო კომიტეტები, რომლებიც ფაქტიურად სათათბირო ორგანოები იქნება, მონაწილეობას მიიღებენ გეგმების განხილვაში, მათი შესრულებისადმი კონტროლში, შრომის დანორმვაში, კადრების განაწილებაში და ასე შემდეგ.

თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია წარმოების მართვაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობის როლი, მაგალითს მოვიყვან ჩვენი ქარხნის ცხოვრებიდან. ორი თუ სამი წელია, რაც შეიქმნა და ფართო შემოქმედებითს საქმიანობას ეწევა საქარხნო ტექნიკური საბჭო, რომელიც 25 კაცს აერთიანებს. გამოთვლილია ამ საბჭოს მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ეკონომიური ეფექტი. იგი წელიწადში 5 მილიონ მანეთს აღემატება. და განა მარტო ქარხანასთან, ტექნიკური საბჭოები შექმნილია აგრეთვე საამქროებსა და უბნებში. ისინიც დიდმნიშვნელოვან საქმეებს აკეთებენ წარმოების პროცესების სრულყოფისათვის. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ჩვენს ქარხანაში ახალი საწარმოო კომიტეტები ძირითადად შექმნილ იქნას ამჟამად მოქმედი ტექნიკური საბჭოების ბაზაზე.

დასასრულ მინდა აღვნიშნო ის გულთბილი შეხვედრები, რომლებიც მქონდა კამოჩენილ ადამიანებთან ვალენტინა გაგანოვასთან, ნადეჟდა ზაგლადასთან და სხვებთან. მათ აინტერესებდათ, თუ როგორ მოვიპოვე ლენინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება, ხოლო მე — როგორ გახდნენ ისინი სოციალისტური შრომის გმირები. ერთმანეთს გავუზიარეთ გამოცდილება.

პ. წერეთელი,

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შესახებ

„საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულების შესაცვლელად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები 1963 წლის თებერვალში.

2. გაუგრძელდეთ რწმუნება საქართველოს სსრ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს, რომლებიც არჩეული არიან 1960 წლის ნოემბერ-დეკემბერში, საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების ახალი შემადგენლობის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 28 ნოემბერი.

გულითადი მილოცვა

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა გაუგზავნეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურ მდივანს, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს მილოცვა იუგოსლავიის ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის დღის გამო.

საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია დეპეშაში, გულწრფელად უსურვებენ იუგოსლავიის მშრომელებს წარმატებებს ცხოვრებასა და შრომაში, მტკიცე მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი იმედს გამოთქვამენ, რომ ჩვენი სახელმწიფოების მეგობრული ურთიერთობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა, რაც შემდგომ განვითარდა მიმდინარე წელს, კვლავაც განმტკიცდება და გაფართოვდება სოციალიზმის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის, ორივე ქვეყნის ხალხთა ბედნიერებისა და აყვავების ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ ეროვნული დღესასწაულის გამო მიულოცა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანს კოჩა პოპოვიჩს.

(საკდესი).

ერთმოქმედებიანი ბალეტის საღამო

კიევის შევჩენკოს სახელობის თეატრის გასტროლები მოსკოვში

მოსკოვი, 27 ნოემბერი. (საკდესის კორ.). უკრაინის შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ყოველ ახალ სპექტაკლთან ერთად იზრდება მოსკოველთა ინტერესი სტუმრების ხელოვნებისადმი.

დღეს კრემლის ყრილობათა სასახლის სცენაზე გაიმართა ერთმოქმედებიანი ბალეტების საღამო. მოსკოველები გაეცნენ მათთვის უკვე ნაცნობი ქორეოგრაფის ვ. ვრონსკის ნაშუშევარს — „ფრანჩესკა და რიმინის“ და ფრაგმენტს პ. ჩაიკოვსკის „შჩელკუნჩიკიდან“, ს. რახმანინოვის „სიმფონიურ ცეკვებს“, რომელთა დადგმა ეკუთვნის რიგის თეატრის მთავარ ბალეტმისტერს ე. ტანგიევა-ბირზნიეკს.

თავისებურად წაკითხულ დამდგმელს ჩაიკოვსკის სიმფონიური ფანტაზია. „ფრანჩესკა და რიმინის“ მეზნებარე ძალით, გამოშეტყველებით, ემოციურობით აღსავსე მუსიკამ საშუალება მისცა თეატრს შეექმნა ბალეტი ნამდვილი სიყვარულის ძალისა და სიძლიერის შესახებ.

რახმანინოვის „სიმფონიური ცეკვები“, როგორც ცნობილია, განკუთვნილია ბალეტ „სკვითებისათვის“, რომელიც არ დაუთავრებია სახელოვან მუსიკოსს. ბალეტმისტერმა ამ ნაწარმოების შინაარსად გახადა მხატვრის ცხოვრება, რომელმაც თავისი საშობლო, საყვარელი არსება გაცვალა სიმდიდრესა და სიხარულში და იღუპება უიმედობისა და მარტოობისაგან.

მოსკოველები გულთბილად უკრავდნენ ტაშს მსახიობებს ა. გავრილენკოს, ნ. რუდენკოს, ი. ლუკაშევას, რ. კლიავინას, გ. ბაუკინას, ა. ნოვიჩენკოსა და სხვებს. მაღალი შეფასება მისცეს დირიჟორების კ. სიმონოვისა და ბ. ჩისტიაკოვის, მხატვრების ა. ლაპინის, ფ. ნიროდის, ა. ვოლინენკოს ხელოვნებას.

სპექტაკლს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ა. კირილენკო მეუღლითურთ, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი მეუღლითურთ, დ. ს. პოლიანსკი მეუღლითურთ, მ. ა. სუსლოვი მეუღლითურთ, ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი მეუღლითურთ, ა. ნ. შელეპინი. ერთმოქმედებიანი ბალეტების საღამოზე იყვნენ აგრეთვე უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ო. ი. ივაშჩენკო, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ს. სენინი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

კუბის თვალსაჩინო რევოლუციური მოღვაწე, აჯანყებულთა არმიის მაიორი კ. პერესი

28 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო კუბის თვალსაჩინო რევოლუციური მოღვაწე, აჯანყებულთა არმიის მაიორი კრესენსიო პერესი, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მოწვევით.

მაიორი კ. პერესი კუბაში ცნობილია „მოხუცის“ სახელით. უბრალო კ

ეს გვიოლის ხელს

ჭიათურაში საგრძნობლად განვითარდა მაღაროს სალიანდაგო ტრანსპორტი, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ამავარ საზიდ გამონამუშევრებში ლიანდაგი არანორმალურად არის დახრილი. ლენინის სახელობის, ახალი ირთულების მარგანეცით დატვირთული მაღაროებში საზიდ გამონამუშევრებში ნაცვლად 4-6 მეტრისა, ერთ კილომეტრზე ლიანდაგი დახრილია 40-50 მეტრით, რაც ძლიერ ართულებს მარგანეცით დატვირთული შემადგენლობის დამუხრუჭებას. საზიდი გამონამუშევრების ასეთი დაკანებით გაყვანა ერთის მხრივ გამოწეულია. მარგანეცის ფენის ბუნებრივი დაკანებით, ხოლო მეორე მხრივ იმ საპროექტო ორგანიზაციების დაუკვირვებლობით, რომლებმაც აღნიშნული მაღაროებს რკინიგზა დააპროექტეს. ამეამად კი ამ ნაკლის გამოსწორება ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული.

საზიდ გამონამუშევართა ასეთი არანორმალურობა იწვევს ხშირ ავარიებს, გამონამუშევართა ან თვით შემადგენლობის და ლიანდაგის დაზიანებას. ხოლო აღდგენაზე დახარჯული შრომა და მასალა ზრდის მოპოვებული წიაღისეულის თვითღირებულებას.

ტრანსპორტის მუშაობის სირთულეს ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში ისიც იწვევს, რომ ლიანდაგის არანორმალური დახრილობის გამო დატვირთული შემადგენლობა ხშირად ავთვარებს 4-5 ჯერ მეტ სიჩქარეს, ვიდრე ნორმით არის გათვალისწინებული, ხოლო ასეთი სიჩქარით გამოწვეული ავარიები მარგანეცის გამოღების საგრძნობ დანაკლისს იძლევა. სწორედ ამ მიზეზით ზოგიერთი მაღარო სისტემატურად ვერ ასრულებს სახელმწიფო დავალებებს.

ჭიათურაში მაღაროს ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ ჯერ კიდევ გასულ წელს მიიღო ზომები. სამეურნეო ხელშეკრულებით საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოძრავი შემადგენლობის კათედრამ და მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტმა შექმნეს ლიანდაგის არანორმალურ პროფილზე დატვირთული შემადგენლობის უავარიო გადაზიდვისათვის სამუხრუჭე ვაგონეტი, რომლის საწარმოო გამოცდა უახლოეს დროში დაიწყება.

ჩვენი მიზანია მაღაროში მომუშავე ელექტრომავლების გადაკეთება ისე, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდოს მისი სამუხრუჭე ძალა. სპეციალური მონაცემების საფუძველზე მარგანეტრესტის მექანიკური სახელოსნო შეუდგა საცდელი ნიმუშის დამზადებას, მაგრამ ლენინშეული საძრავი ტენდერი ტაბპით მიმდინარეობს. ასეთი ელმავლის ნაწილები კი დამზადებული უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში.

იმისათვის, რომ შემადგენლობის გადაყვანის დროს შემცირდეს ვაგონეტების ვერტიკალური რხევები, რაც ძალზე აზიანებს ლიანდაგს და იწვევს ვაგონეტების რელსებიდან აცდენას, ჩვენი კვლევის მიზანია ამავე დროს ვაგონეტების ღერძებს შორის მანძილის გაზრდა.

ასეთი სამუშაოებისათვის წარმოებაში ამეამად დასასრულს უახლოვდება საექსპერიმენტო ბაზის შექმნა. გადაკეთდა რამდენიმე ვაგონეტი და დაწყებულია საცდელი პოლიგონის მშენებლობა, რომლის ფართი 2.000 კვადრატულ მეტრს აღემატება.

ჩვენ ვფიქრობთ აღნიშნული საკვლევი სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი მომდინარე წელს დავამთავროთ.

მიწისქვეშა სარელსო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის კვლევას პარალელურად სხვა მიმართულებითაც ვაწარმოებთ, რაც ითვალისწინებს ელექტრომავლის გამწეველობის გაზრდას, გადიდებულ პროფილზე, უფრო მეტი წონის შემადგენლობის გადაზიდვას, ვიდრე ამეამად არის. ჭიათურის მაღაროებისათვის ეს რეალურია, ხოლო მისი განხორციელება მოგვცემს საშუალოდ ერთ რელსზე ნაცვლად 7-8, გადავიყვანთ 10-12 დატვირთული ვაგონეტი. ეს ღონისძიება შეამცირებს როგორც მუშახელს, ისე მომუშავე ელმავლების რაოდენობასაც.

ჩვენი აზრით, ასეთი კვლევა ჭიათურის მაღაროებში რეგულარულად უნდა ეწყობოდეს.

ვ. ტყემალაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

განვარსოციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლენუმის გადაწყვეტილებანი

ციტრუსები კოლხეთიდან

ფოთი. (საქ. კორ.). ერთ დროს გაუვალი ჭაობები იყო იმ ადგილზე, სადაც ახლა ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებია გადაშლილი. ლიმონი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი, მანდარინი და სხვა სუბტროპიკული კულტურები ხარობს ამ მადლიან მიწაზე. კარგად ახსოვთ ფოთელებს 1949-1950 წლების მკაცრი ზამთარი. ამ წელს თითქმის მთლიანად გახმა ციტრუსების პლანტაციები. მაგრამ მეურნეობის კოლექტივმა დიდი სიბეჯითე გამოიჩინა, ძირითადად „მეიერისა“ და „ახალი ქართული“ ჯიშის ლიმონი გააშენა.

წლითიწლობით იზრდება ლიმონის მოსავალი. თუ შარშან მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი ალ. ჯანუაშვილი) 1 მილიონ 309 ათასი ცალი ლიმონი ჩაბარა სახელმწიფოს, წელს კი 1 მილიონ 400 ათასი ცალის ჩაბარებას ითვალისწინებს. გეგმის გადამეტებით მიიღებენ აგრეთვე დიდძალ მანდარინს, ფორთოხალსა და გრეიპფრუტს.

კარგად იშრომეს პირველი აგროგანყოფილების (მმართველი აგრონომი გრ. როყვა) მუშებმა და მოსავალსაც უხვს იღებენ. წელს გადაწყვიტეს სახელმწიფოს ჩაბარონ 1 მილიონ 200 ათასი ცალი ნაყოფი ნაცვლად 1 მილიონ 20 ათასი ცალისა.

850 ათასი ცალი ლიმონი უნდა მოეკრიფათ მეორე აგროგანყოფილებაში (მმართველი აგრონომი ა. ხარბედია), მაგრამ აგროგანყოფილების მუშებმა ბრძოლა 500 ათასი ცალი ლიმონის მისაღებად გააჩაღეს.

ახლა მეურნეობაში ყოველდღიურად კრეფენ, ფუთავენ და გზავნიან მსხვილ პარტია გაეგზავნათ ვოლგოგრადისა ციტრუსების კრეფაში გამოჩნდნენ დღიურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. კომკავშირელი ლეილა ალასანია გეგმით გათვალისწინებული 2 ათასი ცალი ლიმონის ნაცვლად ყოველდღიურად 2.500-2.600 ცალ ნაყოფს კრეფს. მას არ ჩამორჩებიან შრომაში ვ. მიმინოშვილი, ვ. გოგოლი, ნ. ღოლბაძე, ა. ძიუბა, თ. სოსელია, ა. ლაღარია, ნ. სტოკრატნიუკი, ლ. მირონოვა, შ. ბუსკოვაძე და ც. გაბუნია.

ამ დღეებში მეციტრუსეები გულდასმით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს. ფოთელი მეციტრუსეების გადაწყვეტილებაა შემჭიდროებულ ვადებში აიღონ უხვი მოსავალი და დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულონ საწამთრო სამუშაოები.

ამიტომ ამ დღეებში ადრე დილიდან სალამამდე არ წყდება კოლხიდელ მეციტრუსეთა თავდადებული შრომა. ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება აგროგანყოფილებებში, ბრიგადებსა და ცალკეულ მეციტრუსეთა შორის. ეს იმას მოწმობს, რომ მეურნეობის კოლექტივი წარმატებით დაამთავრებს მიმდინარე სამეურნეო წელს.

* * *

სურათზე: ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი ლეილა ალასანია, რომელიც ყოველდღიურად კრეფს 2.000 ცალ ლიმონს ნაცვლად 950 ცალისა.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.



სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში მიწათმოქმედების მექანიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ამოცანა ის არის, რომ ხელით შრომა მანქანებმა შეცვალონ. ამ საქმეში კი გადამწყვეტ როლს ასრულებს სწორი, გამართლებული მიწათმოწყობა.

რა ნაკლოვანებები ახასიათებს ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებრივ მიწათსარგებლობას?

რესპუბლიკის ყველა რაიონში თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ხარვეზიანობას, მრავალნაკვეთიანობას, სოლიეთ შეჭრას, გრძელმიწიანობას...

მიწათსარგებლობის ნაკლოვანებები ხელს უშლიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, აგრარტექნიკურ მიღწევათა ეფექტიურ დანერგვას, მექანიზაციის ფართოდ განხორციელებას და სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებს.

1929 წელს გამოცემულ იქნა მიწათმოწყობის წარმოების ინსტრუქცია საქართველოში, რომლის საფუძველზე კოლმეურნეობათა მიწათმოწყობა ტარდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ნაკვეთების გაცვლა-გამოცვლის გზით, ისიც ორივე მხარეების შეთანხმებით და ისეთივე ზომითა და ხარისხით.

გასაგებია, რომ ასეთ მიწათსარგებლობას მნიშვნელოვანი წინსვლა არ მოჰყოლია.

სამწუხაროდ, დღესაც ვხვდებით ნაკლოვანებებს ამ საქმეში. საკარმიდამო ტერიტორიაზე არ არის რეგისტრირებული ათეული და ზოგან ასეულ ჰექტარობით მიწები, რომლებიც ირიცხებიან კოლმეურნეობებზე და დღემდე არ ვიცით ვის სარგებლობაშია. ეს არის შიდასამეურნეო მიწათმოწყობის ღონისძიებათა უსასუნისმგებლოდ ჩატარების შედეგი.

მოვიყვან მაგალითს: ვაგრის რაიონის სოფელ განთიადის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ასეთი გამოუვლინებელი მიწებია 50 ჰექტარამდე, მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის კოლმეურნეობაში — 31 ჰექტარამდე და ა. შ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1962 წლის 23 ოქტომბერს აღინიშნა: „გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობაში თვითნებურად გაიფართოა საკარმიდამო ნაკვეთები 624 კოლმეურნემ“.

ისმება კითხვა, საიდან შეიძლებოდა ასე მასობრივად საკარმიდამო ნაკვეთების გაფართოება?

საკარმიდამო ნაკვეთების გაფართოება შეიძლებოდა მხოლოდ ამ გამოუვლინებელი, „დაკარგული“ მიწებიდან.

მიწათმოწყობის ღონისძიებათა გაუბარლობა ზიანს აყენებს სახაფხულო და საზამთრო სათოვრების რაციონალურად გამოყენების საქმესაც. აღნიშნული საქართველოს სსრ გენერალური მოიჯარეა. მიმდინარე წლის 10 თვეში შესრულებულია 25 პროცენტით მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. მარტო ამ წელიწადში ჩვენში აშენდა და ექსპლოატაციად გადაეცა 30-ზე მეტი ახალი საწარმო, მათ შორის ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არის აგარაკის სპილენძმოიბადენის კომბინატი, ერევნის თბოელექტროცენტრალი, ლუსავნის სამსხმელო ქარხანა, იჯევნის ხალიჩის კომბინატი, ერევნის პიანინოს ფაბრიკა და სახლსაშენებელი კომბინატი, აცეტილცელულოზის წარმოების ახალი მძლავრი კომპლექსი ერევნის ქარხანა „პოლიეთილაცეტატში“, მეთხე ტექნოლოგიური ხაზი არარატის ცემენტ-შიფერის კომბინატში და სხვები. შეიძლება ითქვას, სომხეთში ერთი წლის მანძილზე არასოდეს არ ჩამდგარა მწყობრში ამდენი საწარმო. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს უხარიათ, რომ წელს ჩვენი ქვეყანა მიიღებს ასზე მეტი სახეობის ახალ პროდუქციას, რომლებსაც გამოუშვებენ ახალი საწარმოები და წარმოებანი.

ჩვენს ქვეყანას დიდი ოქტომბრის 45 წლისთავისათვის ღირსეული საჩუქარი უძღვნეს მშენებლებმა. მათ საექსპლოატაციოდ გადასცეს ხელოვნური ბოჭკოს დიდი ქარხანა. ამ ქარხნის შექმნა საბჭოთა ხალხების ძმობისა და მეგობრობის მკაფიო გამოვლინებაა. სომხეთის შვიდწლედის ამ უდიდესი ობიექტის აგებაში ყველა მოკავშირე რესპუბლიკა დაეხმარა.

რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობასა და ხელსაწყოთმშენებლობასთან ერთად სწრაფად ვითარდება ჩარხმშენებლობა. შვიდწლედის დამლევისათვის სომხეთი ჩვენს ქვეყანას მისცემს დაახლოებით 15 ათას სხვადასხვა ლითონსაჭრელ ჩარხს. ამ დიდი პროგრამის შესასრულებლად ახალ, სწრაფად მზარდ მუშათა დაბა ლუსავანში მთავრდება თუჯის სხვესულის გამოსაშვები საწარმოო კომპლექსის მშენებლობა.

რესპუბლიკაში დიდად განვითარდება ელექტრონული და რადიოტექნიკური მრეწველობა. უახლოეს წლებში გაიზრდება მათემატიკური მანქანებისა და სხვა საანგარიშო-ამოსახსნელ მოწყობილობათა წარმოება.

ახალ ფაბრიკა-ქარხნებთან ერთად იზრდებიან ახალი ქალაქები. ეს არის ჰრაზდანი, სევანი, იჯევანი, სტეფანავანი, ლუსავანი, აბოვიანი, ართიკი, ანი, სპიტაკი და სხვები. კლდოვან უშენ ადგილებში იგება მრავალსართულიანი შენობები, მთელი უბნები, მიკრორაიონები.

სულ შეიცვალა სახე ძველმა ერევანმა. მას თითქმის ოცდაათი საუკუნის ისტორია აქვს, მაგრამ ამას არასოდეს არ იტყვი, ქალაქის ახალ ქეჩებსა და პროსპექტებს რომ ნახავ. ერევანში მარტო წელს 5 ათასზე მეტი ოჯახი გადაიხდის ახალ დასახლებას.

ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება მოითხოვს საწარმოო და ენერგეტიკულ სიმძლავრეთა განუწყვეტელ ზრდას. მომავალ წელს გაიშლება სამშენაოები, რათა ამენდეს ტარვეის ჰესი, ჰრაზდანის თბოელექტროცენტრალი, ჰრაზდანის სამთო-ქიმიური კომბინატის კომპლექსი, ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების ქარხანა ალბოიანში.

უახლოეს წლებში აშენდება სამშენებლო ინდუსტრიის მთელი რიგი მსხვილი საწარმოები — კარმირაშენის ვულკანური წიდებისა და არაგაწის პერლიტების მოსაპოვებელი, სამსხვრევი და დასახარისხებელი მექანიზებული კარიერები, ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნები ერევანში, ლენინაკანში, კიროვაკანსა და აბოვიანში, სახლსაშენებელი კომბინატი ჰრაზდანში, დიდპანელიანი სახლმშენებლობის ქარხანა კიროვაკანში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე დაჩქარებული ტემპით გაიზრდება მძიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი დარგი — ქიმიური მრეწველობა.

ა ხ ო რ ც ი ე ლ ებ ე ნ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სოფლის მეურნეობის მშრომელები ბეჯითად იბრძვიან პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. მიმდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შესასრულებენ ხორცის, რძის, კვერცხის, თამბაქოს, შაქრის ჭარხლისა და სხვა პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმას, განსაკუთრებით დიდი წარმატებანი მოიპოვეს ჩვენმა მეფენახეებმა, რომლებმაც წელს უხვი მოსავალი მოიყვანეს. 1962 წელს დამზადდა და სახელმწიფოს მიეყიდა 135 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი. დაწესებული გეგმა 29 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა.

ასრულებს რა ვ. ი. ლენინის ანდერძს, რესპუბლიკა ახორციელებს დიდ საირიგაციო სამუშაოებს. შვიდწლედის ოთხ წელიწადში სარწყავი მიწების ფართობი 32 ათასი ჰექტარით გადიდდა და გაწყლიერებული სახვნელისა — 78 ათასი ჰექტარით. ძირითადად ახალი სარწყავი მიწების გამოყენებით ვენახების ფართობი 1958 წელთან შედარებით გადიდდა 45 პროცენტით, ხოლო ხეხილის ბაღებისა — 40 პროცენტით.

მაგრამ მიღწეული წარმატებანი სრულიადაც ვერ ამოწურავენ მთელ იმ შესაძლებლობას, რომელსაც შეიცავს სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემა და რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბუნებრივი პირობები.

შვიდწლედის დარჩენილი წლების მანძილზე რესპუბლიკაში დიდი მუშაობა უნდა შესრულდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გაფიდებისათვის. გაგრძელდება მიწების რწყვისა და საძოვრების გაწყლიერების სამუშაოები.

რესპუბლიკაში შემუშავებულია ბოსტნეულ-ბაღჩეული პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდების ღონისძიებანი. ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად განზრახულია სპეციალიზებულ იქნეს 39 მეურნეობა ბოსტნეულის წარმოებაში და 16 მეურნეობა ბაღჩეულის წარმოებაში. 1965 წლისათვის ბოსტნეულის წარმოება გათვალისწინებულია გადიდდეს 1960 წელთან შედარებით 78 პროცენტით და ბაღჩეულისა — 73 პროცენტით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკამ დიდ პროგრესს მიაღწია მეცნიერების, კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში. ამჟამად სომხეთში მოქმედებს 90-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და დაწესებულება. ყველა ისინი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა. მეცნიერების სარბიელზე ნაყოფიერად შრომობს 5 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი. ბევრი ჩვენი მეცნიერის შრომები ცნობილია მთელ ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ჩვენი მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ აქტუალური პრობლემების გადაჭრაში. შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ რესპუბლიკაში არ არის სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, რომელშიც მათ თავიანთი ძვირფასი წვლილი არ შეეტანოთ.

სოციალისტური მშენებლობის წლებში ნამდვილ აყვავებას მიაღწია ჩვენი ხალხის ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკაში გამოიზარდა ნიჭიერ მწერალთა, პოეტთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, მსახიობთა დიდი პლეადა. ისინი თავიანთი შემოქმედებითი შრომით ამდიდრებენ საბჭოთა მრავალეროვნულ კულტურასა და ხელოვნებას და ადიდებენ საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას, მის ბრძოლას ნათელი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

სასიხარულო და მჩქეფარეა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრება, საბჭოთა სომხეთი მძლავრი მიმზიდველი ძალა გახდა მრავალი ათასი სომხისათვის, რომლებმაც სამშობლო დატოვეს რევოლუციამდე. ასი ათასზე მეტი სომეხი უკვე დაბრუნდა სამშობლოში. ხოლო სულ ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა გულთბილად მიიღეს ახალი საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც ჩამოვიდნენ კვიპროსიდან, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან და ირანიდან. მათთვის ფართოდ გაიღო დიდი, ბედნიერი ცხოვრების კარი.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში სომხეთი საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე გახდა მოწინავე აყვავებული რეჟისპუბლიკა, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული ეკონომიკა და კულტურა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა კარგად იციან და მტკიცედ ახსოვთ, რომ მთელ თავიანთ წარმატებებს ახალი, ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების მშენებლობაში უნდა უმადლოდნენ უკვდავ ლენინს, მის მიერ შექმნილ კომუნისტურ პარტიას.

კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პარტიის უმაღლესი მოვალეობაა ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლებისათვის, საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის.

ამას მკაფიოდ და დამაჯერებლად ადასტურებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ერთსულოვნად და მხურვალედ მოიწონა მთელმა საბჭოთა ხალხმა, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების კიდევ უფრო სწრაფ განვითარებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული სომხეთის მშრომელები, მთელ ძალებსა და ენერგიას მოახმარენ მათს განხორციელებას, იმას, რომ წარმატებით შესრულდეს კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა, რომელიც მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ. (საქდესი).

ერევანი. ლენინის მოედანი ხელი.



მიწათმოწყობა — ჩვენი საზრუნავი

ცოდნა ძალა

ბიბლიოთეკა

ეროვნული

ბიბლიოთეკა

ბისა და სხვა მოწყობა. ეს ეს მიწათმომოწყობა. შეერ... საქმეა ლა ყველასათვის ... ხელმისწვდომი, ...

მარად ცოცხალი

დაგადეგის 400 წლისთავის გამო

ᲕᲔᲞᲮᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲑᲘᲡ

ლოპე დე ვეგა

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ სასწაული უწოდა „დონ-კიხოტის“ ავტორმა ლოპე დე ვეგას. მართლაც განსაცვიფრებელი იყო ესპანური დრამატურგიის ამ მწვეტვალის შეგროვებადობა. ალბათ არავინ არ ყოფილა შემოქმედებითად ისე ნაყოფიერი, არავის არ შეუქმნია იმდენი პიესა, რამდენიც ლოპე დე ვეგას. იგი ამობდა, რომ მისი სიცოცხლის თვითეულ დღეზე „საშუალოდ ხუთი ფურცელი მოდიოდა“. დრამატურგის პირველი ბიოგრაფის მიტელვანის ცნობით, ლოპე დე ვეგამ დაწერა 1.800 სამაკტიანი კომედია და 400-ზე მეტი ერთაქტიანი პიესა. აქედან ჩვენამდე 426 კომედიამ მოაღწია, ამას გარდა მას ეკუთვნის რომანი, პოემები, სონეტები, თეორიული ტრაქტატები და სხვ.

და აი ამ კაცს, ესპანეთის ეროვნული თეატრის გენიალურ შემქმნელს, სისტემატურად სდევნიდნენ, მან სიპბუკეშრეკ განიცადა პატიმრის მძიმე ხვედრი!..

ახალგაზრდა ლოპე, როგორც დედას შვილი, ისე მოსწყვეტეს მშობლიურ ქალაქს და რვა წლით გაასახლეს. იგი შემდეგ დასახლდა ვალენსიაში და სათავეები ჩაუდგა თეატრალურ ახალგაზრდობას. მისმა პიესებმა ამ წლებში უკვე ფართოდ იწყეს მოგზაურობა სცენიდან სცენაზე, ქალაქიდან ქალაქში. რეაქცია კი სდევნიდა და ავიწროებდა მახვილგონიერ დრამატურგს, სდევნიდა მის თამამ პიესებს. 1625 წელს კასტილიის საბჭომ უკვე აკრძალა მისი პიესების ბეჭდვა. ასე გაგრძელდა დიდხანს, მხოლოდ სიკვდილის წინ შეცვალეს ბრძანება.

თემების საოცარი მრავალფეროვნება ახასიათებს ლოპე დე ვეგას. იგი შთაგონებული წერდა მოხელეებზე, ფეოდალებზე, ტირანებზე, წერდა ბრძოლის თემებზე და მეფეოებზე. და მაინც მისი გატაცების საგანი გლეხთა ცხოვრება იყო. სოფლის უბრალო ადამიანების ცხოვრებას უძღვნა მან თავის საუკეთესო ქმნილებებში. იგი ხალხურ თქმულებებს ეყრდნობოდა ხშირად და როგორც ფესვები მეცნარეს, ისე ასაზრდოებდა მის ნაწარმოებებს სინოყიერე და სიმდიდრე ფოლკლორისა.

ლოპე დე ვეგას საოცრად უყვარს გლეხი თავისი ზნეობრივი სიწმინდითა და სათნოებით, სულიერი ენერგიითა და სიჯანსაღით. იგი არ ერიდება ზოგჯერ გააიდეალოს კიდეც გლეხთა სახეები, რომ ამით უფრო ნათელი კონტრასტი შექმნას დიდგვაროვნებთან მიმართებაში. ამგვარი გლეხის ტიპია გამოყვანილი პიესაში „გლეხი თავის კუთხეში“.

მთელ ამ ნაწარმოებში არის ოცნება ცხოვრების საუკეთესო მომავალზე. არის სიხარულისა და ბედნიერების ის განცდა, გლეხის უბატონოდ სიცოცხლეს რომ ახლავს. ამ რკალის სხვა ნაწარმოებებიც იცავენ საკუთარ, ადამიანური ღირსების თემას. ისინი ავითარებენ თავისუფალი შრომისა და გამბედაობის იდეას. ამ მაღალი ჰუმანური მისწრაფებებით არის მდიდარი ლოპე დე ვეგას მთელი შემოქმედებაც.

„წამოსასხამისა და დაშნის კომედიებს“ უწოდებენ ლოპე დე ვეგას მრავალ ნაწარმოებს, რომლებიც ადამიანთა ზნე-ჩვეულებებს ასახავენ. ამ ტიპის პიესები გამოირჩევიან „განსაკუთრებული დრამატურგიული ოსტატობით, ქმედითი სიუჟეტით, მდიდარი პერიპეტიებით, მახვილგონიერი სიტუაციებითა და დიალოგის ლაკონიზმით. ისინი მეტწილად ტრადიციული სასიყვარულო სამკუთხედის ფორზე იშლებიან. დრამატურგი გაბედულად უპირისპირებს ერთმანეთს ტრადიციულსა და ახალს და კონკრეტული ხასიათების მაგალითზე ცხადყოფს ძველის უკუგდების აუცილებლობას.

დიდი ესპანელის შემოქმედებაში ერთერთი მთავარი და ტონის მიმცემი თემაა უბრალო ადამიანის აზნეურება ტირანის წინააღმდეგ. ნაწარმოებთა ამ რკალს ეკუთვნის მრავალი პიესა. ერთ მათგანს „კლდიდან გადმოგდებული მეფე“ ჰქვია. პიესაში მოქმედებენ ძლიერი ხასიათისა და ინტერესების ადამიანები. მოწინააღმდეგე მხარეთა შეჯახება (მეფის ტახტისათვის მებრძოლნი) ქმნის მძაფრ დრამატულ კოლიზიას, რომელიც ბოროტების დამხობით იხსნება. ამავე რკალშია სახელგანთქმული დრამაც „სევილიის ვარსკვლავი“: მოქმედება ხდება XIII საუკუნის ბოლოს და ასახავს კასტილიის მეფის სანჩო IV-ის ცხოვრებას. პიესაში მხილებულია მეფის სისხლიანი ცხოვრების მთელი გზა, რომელიც ვნებათა ღელვის ერთგვარ ბუნუსშია განფენილი.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით „სალამეელი ალკალდი“ იწყება ტირანის წინააღმდეგ მებრძოლი პიესების რკალი. ამ ნაწარმოებში ყველაზე მძლავრად გამოჩნდა გლეხკაცის მებრძოლი ბუნება, მისი შეუდრეკელი ნებისყოფა და სამართლიანობის აქტიურად დაცვის უნარი.

ლოპე დე ვეგას შემოქმედების გვირგვინია „ცხვრის წყარო“. იგი ბრწყინვალედ აგრძელებს და როგორც ფოკუსში ისე უყრის თავს ტირანის წინააღმდეგ მებრძოლი პიესების ყველაზე დამახასიათებელ თვისებებს. დრამატურგმა ფეოდალებისა და უუფლებო გლეხების კონფლიქტის საფუძველზე შექმნა დიდი ვახზოგადების ნაწარმოები, რომელიც მთელი სისრულით ავლინებს ესპანელი ხალხის საუკეთესო მისწრაფებებს და მათს ეროვნულ შეგნებას.

დრამატურგის თითქმის არც ერთ ნაწარმოებში ისე კარგად არ არის ნაგრძნობი და ისე ამაღლებულად გამოხატული მტრულ ძალებთან ბრძოლაში ამაღლებული სიყვარულის მშვენიერება, როგორც აქ ამ პიესაში. ფრონდოზოსა და ლაურენსიას ტრაგიკული სიყვარული პიესაში იქცევა იმ რეალურ ძალად, რომელიც ბრძოლისაკენ მოუხმობს ხალხს, უღიმეიებს ეროვნულ თვითშეგნებას. ლაურენსიას მიერ პირველადან უკანასკნელ აქტამდე განვლილი გზა ნიმუშია სახის მხატვრული ზრდისა და სრულყოფისა, ნიმუშია ნამდვილი სცენური მოქმედებისა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ „ცხვრის წყარო“, ანუ, როგორც მას უწოდებენ, „ფუენტე ოვეხუნა“, თითქმის სამასი წლის განმავლობაში აღარ იდგმებოდა ესპანეთში, მის სამშობლოში. მხოლოდ 1931-1932 წლებში დაიწყეს მისი ჩვენება. სახალხო პოემა გარსია ლორკამ თავა მისი წარმოდგენა. ლორკა მაშინ ახალგაზრდების თეატრს ხელმძღვანელობდა და ხშირად უხდებოდა წარმოდგენებით მოგზაურობა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში. მალე „ფუენტე ოვეხუნა“ გახდა „ფაროთა სახალხო მაყურებლის საკუთრება“. პიესა დიდი წარმატებით იდგმებოდა ფაშიზმის წინააღმდეგ ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლების დღეებში.

მᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ თეატრალურ სამყაროს აგერ თითქმის ოთხი საუკუნეა ამშვენებს ლოპე დე ვეგას სახელი. მისი სიცოცხლით სავსე, ჰუმანისტური და მახვილგონიერი პიესები ამდიდრებენ მსოფლიო თეატრების რეპერტუარს. ბევრ მათგანს დიდი როლი აქვს შესრულებული ამა თუ იმ თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში. ყველაზე მეტად კი ეს ქართული თეატრის მიმართ ითქმის. საქართველოში წარმატებით დაიდგა „ძაღლი თივაზე“, „სხვისთვის სულელი“, „ცეკვის მასწავლებელი“ და რა თქმა უნდა, „ცხვრის წყარო“.

თეატრის ისტორიამ ალბათ ძალიან ცოტა იცის ისეთი ფაქტი, რომ ერთი რომელიმე ქვეყნის ახალ თეატრალურ ცხოვრებას უცხოური პიესა დასდებოდა საფუძვლად. ასე მოხდა ჩვენს სინამდვილეში. „ცხვრის წყაროს“ დადგმით იწყება ახალი ეპოქა ქართულ თეატრში. ეს არის ეპოქა ნამდვილი საბჭოთა თეატრის დაბადებისა. ეს იყო ქართველი ხალხის დიდი თეატრალური პოტენციის კანონზომიერი გამოსხივება. ამ დიდ მოვლენას წინ უძღოდა გარკვეული შემოქმედებითი ძიებანი. ამასთანავე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო რეალისტური ხელოვნების ტრადიციაც. ამ ნიადაგზე დაყრდნობით შექმნა კ. მარჯანიშვილმა შთამაგონებელი, დიდი მხატვრული ძალისა და იდეური ძღერადობის სპექტაკლი. იგი იყო პირველი წარმოდგენაც, სადაც ასე სრულყოფილად გამოიხატა და დამკვიდრდა სინთეტიზმის პრინციპი.

მართლაც უჩვეულო იყო პრემიერის დღე. იგი ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცა. პაოლო იაშვილმა იარუსიდან პოეტურად მიმართა ხალხს: „პრომეთეოსის მსგავსმა დიდმა ხელოვანმა კოტე მარჯანიშვილმა ოლიმპოს მთიდან მოსტაცა მუზებს ცეცხლი და „ცხვრის წყაროში“ ისეთი კოცონი დაანთო, რომ ახლა არავის ძალუძს მისი ჩაქრობა“. „ვაშა თქვენ, ძვირფასო მეგობრებო! — შიმართა შემდეგ სპექტაკლის მონაწილეებს — ქართველი პოეტები მარადიამს თქვენთან იქნებიან“.

რᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ თეატრის სცენაზე „ცხვრის წყაროო“ ეღერდა, როგორც დიდი სოციალური ტრაგედია, რომელიც მძაფრად ამხილებდა ტირანიზმს, უმღერიდა ხალხის სულიერ ძალასა და ენერგიას. მთელი წარმოდგენა გამთბარი იყო სიცოცხლისადმი სიყვარულისა და ვაჟაკაცობის პათოსით, მაყურებლის სულს ალაფთებდა რეოლუციური მგზნებარებითა და ღირიკული სინაზით, ნათელი, მოლვარე მზის ფერებითა და სიკეთისადმი რწმენის პოეტური სახიერებით. სპექტაკლი გადაწყვეტილი იყო შუქ-ჩრდილების კონტრასტით. ამ კონტრასტში მყოვანდებოდა ნათელისა და ბნელის, ბოროტისა და კეთილის მთელი შინაარსიც. კ. მარჯანიშვილის ამ ესთეტიკურ პრინციპს მშვენიერი სტრიქონები უძღვნა უ. ჩხეიძემ. იგი წერდა: „ჯანსაღი სიცოცხლე და სიხალისე ჩქეფდა მთელი სპექტაკლის მანძილზე — იყო ეს საქართველო სვლა, კომანდორთან მოსული გულუბრყვილო მცხოვრებნი თავისი უხეი და მრავალფეროვანი საჩუქრებით, ცალკე ცეკვები, თუ აჯანყების ცეცხლით აღგზნებული სცენები. მხოლოდ ხასიათან მოიღუშებოდა სცენები და ჩრდილი დაფარავდა მას ისე, როგორც მზიან დღეებში ცაზე გაელილ ღრუბლითა ჩრდილი ეცემა დედამიწას. ეს იყო კომანდორის სცენები. ეს იყო სცენები, როდესაც სურდათ ჩაეხშოთ მშვიდობიანი მიწის მუშა გლეხების სიცოცხლე“.

მარჯანიშვილის წარმოდგენაში მონაწილეობდნენ იმქამინდელი ახალგაზრდა და ძველი თაობის მსახიობები. ისინი თამაშობენ გატაცებით, ახალი იმედებისა და პერსპექტივების ხილვისაგან შთაგონებით. დღეს, ამ სპექტაკლის მეორმოცე წლისთავზე არ შეიძლება არ მოვიგონოთ მათი სახელები. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ა. იმედაშვილი, ტ. აბაშიძე, უ. ჩხეიძე, მ. ლორთქიფანიძე, ნ. გვარაძე, თ. ჭავჭავაძე, ვ. ანჯაფარიძე, გ. დავთაშვილი, ა. ვასაძე, ფ. ჩხეიძე.

360 წლის შემდეგ ლოპე დე ვეგას დაბადების დღე ქართული საბჭოთა თეატრის დაბადების დღე გახდა. პირველს ოთხი საუკუნე გვაშორებს, მეორეს ოთხი ათეული წელი. ლოპე დე ვეგას მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ადამიანის ძალისადმი რწმენით და მან მართლაც ახალი რწმენა და იმედი მოუტანა ქართულ თეატრს. ამიტომ ვიგონებთ მის სახელს განსაკუთრებული სიყვარულით და მოკრძალებით.

Ვ. ᲙᲘᲫᲐᲜᲐᲫᲔ.

ᲛᲝᲕᲘᲓᲝᲗᲐ, ᲗᲐᲜᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝᲗᲐ!

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის კარნეგი-ჰოლის ცნობილ საკონცერტო დარბაზში 26 ნოემბერს გაიმართა საბჭოთა სახელმწიფოს დაარსების 45 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი. დარბაზში, რომელიც მორთულია საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ალმებით, საზეიმოდ ღელავს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ჰიმნები.

ჟურნალ „ნიუ უორლდ რევიუს“ რედაქტორმა, მშვიდობისათვის დაცხრომელმა მებრძოლმა და საბჭოთა კავშირის ძველმა მეგობარმა ქ-ნმა ჯესიკა სმიტმა შეკრებილთა მოგონა ორი თარეი, რომლებიც, როგორც მან თქვა, სიმბოლურად გამოხატავენ ამერიკელებისა და მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის საბჭოთა კავშირის პოლიტიკას. პირველი თარეი, თქვა ჯესიკამ სმიტმა, არის 1943 წლის 31 იანვარი, როცა, საბჭოთა კავშირმა ტრიუმფული გამარჯვება მოიპოვა ბრძოლაში ვოლგაზე, მოაბრუნა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობა და უზრუნველყო გამარჯვება ჩვენს საერთო მტერზე — ფაშიზმზე. მილიონობით ამერიკელი სიფოცხლეს უნდა უმადლოდეს მილიონობით საბჭოთა ადამიანს, რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ ომში დაიღუპნენ.

მეორე თარიღია 1982 წლის 28 ოქტომბერი, როცა საბჭოთა კავშირმა, საბჭოთა მთავრობამ მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ბრძნული მოქმედებით აღკვეთეს კუბის კრიზისის გადაქცევა თერმოტომურ ომად და იხსნეს კაცობრობა.

ქ-ნი სმიტი დაჭერილებით შეეხო თავის მოგზაურობას საბჭოთა კავშირში. შეხვედრებს უბრალო საბჭოთა ადამიანებთან, მათს სტუმართმოყვარეობასა და მშვიდობისმოყვარეობას. მან მოუწოდა განამტკიცონ მეგობრობა და ურთიერთგაგება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს შორის, ერთად იბრძოლონ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის.

როგორც სიმბოლო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ხალხთა მეგობრობისა კარნეგი-ჰოლის სცენაზე მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალში შემოვიდა საბჭოთა და ამერიკელი ბავშვების ჯგუფი. გაისმის ბავშვების წკრიალა ხმები — „დაე მშვიდობა იყოს დედამიწაზე“.

ცნობილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე პროფესორი ჯ. მორეი დაწვრილებით შეეხო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ისტორიას, საბჭოთა სახელმწიფოს დაუცხრომელ ბრძოლას მისი არსებობის პირველი დღიდანვე მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის.

ჩვენ, ამერიკელ [illegible] ეფუძნება პროფესორ [illegible] ვალენ [illegible] რა მძლავრ საბჭოთა კავშირთან. [illegible] ნიუ-იორკშია და რომელიც მიტინგზე მიიწვიეს.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოს მრჩეველმა ვ. ვ. ბუგროვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად მეხვეწნენ. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ესწრაფვის სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას და შეეხო მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა კუბაზე ამერიკის შეერთებული შტატების თავდასხმის საფრთხის შედეგად. საბჭოთა მთავრობამ, თქვა მან, განაცხადა ლონისძიებანი კონფლიქტის მოსასპობად, რის შედეგად ურთიერთ კომპრომისისა და ურთიერთდათმობათა საფუძველზე აღმოიფხვრა თერმოიატომური ომის საფრთხე. სწორედ ეს არის პრაქტიკულად მშვიდობიანი თანაარსებობა.

საბჭოთა კავშირის საელჩოს წარმომადგენელმა სსრ კავშირის ხალხთა სახელით ყოველივე საუკეთესო უსურვა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერეკნული საბჭოს წევრებს და დასასრულ თქვა: დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 27 ნოემბერი. (საკდესი). ინტერვიუში, რომელიც გუშინ გადასცა ინგლისის ტელევიზიამ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ განაცხადა, რომ ინდოეთი იმედოვნებს განაგრძოს მიუმხრობლობის პოლიტიკა, ფიქრობდაც ომისა, რომ სამხედრო დახმარებას გაუწევენ დასავლეთის სახელმწიფოები.

მიუმხრობლობა, თქვა მან, კვლავ არის სწორი პოლიტიკა ინდოეთისათვის.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 27 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი დელიდან იტყობინება, ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ უპასუხა ინდოეთის ოხოვნაზე განმარტოს ცეცხლის შეწყვეტის წინადადებანი. ამ პასუხს ამჟამად სწავლობს ინდოეთის მთავრობა.

ᲐᲐᲘ. ᲛᲘᲙᲝᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ Ს. ᲘᲢᲝᲜᲗᲐᲜ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 28 ნოემბერი (საკდესი). 27 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, რომელიც აქ იმყოფება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის შენობაში შეხვდა თვალსაჩინო ამერიკელ მრეწველს, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს საირუს იტონსს და მის მეუღლეს. ა. ი. მიკოიანმა გადასცა მათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სალამი.

შეხვედრას დასწრნენ: სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. ა. ზორინი მეუღლითურთ და რუსეთის სფსრ საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ა. მენშიკოვი.

საბჭოთა წარმომადგენლობის შენობას რომ ტოვებდა, საირუს იტონმა განუცხადა საკდესის კორესპონდენტს: ჩემმა მეუღლემ და მე ცოფელი ინტერესით შევიტყეთ ა. ი. მიკოიანისაგან, თუ რა ხდებოდა ამ უკანასკნელ დღეებში კუბაში. ჩვენ, თქვა ამერიკელმა მოღვაწემ, ბატონი მიკოიანი მიგვიპატიჟა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გონიერ და გამოცდილ სახელმწიფო მოღვაწედ, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მეტად ძნელ და პასუხსაგებ პერიოდში. ს. იტონი შეეხო კუბის კრიზისს და ხაზი გაუსვა იმ დიდ ჭკვილს, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტანა მშვიდობის შენარჩუნების საქმეში კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტში.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ V ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 27 ნოემბერი, (საკდესი). აქ მიმდინარეობს პოლონეთის პროფკავშირთა V ყრილობა.

დელეგატები მქუხარე ოვაციით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ვ. ვ. გრიშინს, როცა იგი ტრიბუნაზე ავიდა. საკავშირო პროფსაბჭოს დაკალებთან მან პოლონეთის პროფესიული კავშირების V ყრილობის დელეგატებს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მუშასა და მოსამსახურეს გადასცა საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა 66 მილიონი წევრის მხურვალე მზური სალამი.

ვ. ვ. გრიშინმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს უსურვა ახალი, კიდევ უფრო დიდი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ᲙᲘᲣᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲚᲘ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲑᲘ

ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲡᲘ, 28 ნოემბერი. (საკდესი). ჰიტლერელ ჯალათთა კიდევ ერთი დანაშაული კვლავ აღმოჩნდა ოსვენციმის ყოფილი ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე. აქ აღმოაჩინეს ძლიერმოქმედ საწამლავ ნივთიერებათა საწყობი.

პოლონეთის ჯარის ქიმიური სამსახურის სპეციალურმა ქვეგანყოფილებამ მიწისქვეშ მდებარე ამ საწყობიდან ამოიღო 62 ყუთი, რომლებშიც ჩაწყობილ ბოთლებში დაახლოებით 700 კილოგრამი საწამლავი ნივთიერება იყო.

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲚᲘ ტანგანიკის ხალხი აქტიურად მონაწილეობს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მოძრაობის მონაწილეებს გზა გაეყავთ ტანგას რაიონში.

საკდესის ფოტოქრონიკა.



ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲒᲕᲔᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 27 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა განაგრძობს 17 ქვეყნის სპეციალური კომიტეტის მოხსენების განხილვას, ეუ როგორ ხორცისელდება დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

ეს დეკლარაცია, ხაზგასმით აღნიშნა თავის გამოსვლაში ასამბლეის გუშინდელ დღის სხდომაზე მავრიტანიის წარმომადგენელმა სელეიმან ულდ-შეიხ სიდიამ, მიღებულია საბჭოთა კავშირის ინიციატივით. საბჭოთა კავშირი გამოვიდა აგრეთვე დეკლარაციის შესრულების შემოწმების ინიციატორად, რასაც მოჰყვა 17 ქვეყნის სპეციალური კომიტეტის შექმნა.

საბჭოთა კავშირის ინიციატივა დეკლარაციის მიღების საქმეში აღნიშნა აგრეთვე სირიის წარმომადგენელმა სალაჰ ედ-დინ თარაზიმ.

უბადრუკი შთაბეჭდილება მოახდინა კოლუმბიის დელეგატის გამოსვლამ, რომელიც გაუგებარად ბურტყუნებდა რადიაციას „წითელი კოლონიალიზმის“ შესახებ და კომპლიმენტებით შეამკო კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ისეთი „მებრძოლი“, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია.

აფრიკაში პორტუგალიის კოლონიების ადგილობრივი მოსახლეობის მძიმე ხვედრზე ილაპარაკა სიერა-ლეონეს წარმომადგენელმა კოლიერმა. მან აგრეთვე გადაჭრით დაგმო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის რასისტული პოლიტიკა, რომელიც, როგორც მან თქვა, ესწრაფვის „დაიმორჩილოს და მოსპოს“, თუ საჭირო იქნება, ამ ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა — აფრიკელები“.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა პ. დინმა არაფერი უთხრა ასამბლეის დელეგატებს, თუ როდის მიანიჭებს მისი ქვეყანა დამოუკიდებლობას თეთრ მცირერიცხოვან ადამიანს, რომლებიც ბრიტანეთის კოლონიალიზმის უღელქვეშ იტანჯებიან. სამაგიეროდ მისი გამოსვლა სავსე იყო უხეში „კრიტიკული შენიშვნებით“ 17 ქვეყნის სპეციალური კომიტეტის მიმართ.

უნგრეთის წარმომადგენელის პეტერ მოდის წინადადებაა, რომ რეზოლუცია, რომელსაც გენერალური ასამბლეა მიიღებს 17 ქვეყნის სპეციალური კომიტეტის მოხსენების გამო, შეიცავდეს მთხოვნას შეწყდეს სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის ყველა ღონისძიება, რომლებიც მიმართულია კოლონიათა ხალხების წინააღმდეგ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲑᲝᲜᲜᲘ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 28 ნოემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა ბუნდესტაგის ქრისტიანულ დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ სოციალური კავშირის ფრაქციის ხანგრძლივი სხდომა. სხდომის მონაწილეებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობის მინისტრებმა, რომლებიც ქრისტიანულ დემოკრატიულ კავშირის— ქრისტიანულ სოციალური კავშირის წევრები არიან, ოფიციალურად შეიტანეს განცხადება გადადგომის შესახებ. ეს გადაწყვეტილება, როგორც ნათქვამია დასასაგენტოს ბონ მეგენ გადაცემულ განცხადებაში, მიღებულ იქნა ვიცე-კანცლერ ერჰარდისა და თავდაცვის მინისტრის შტრაუსის წინადადებით.

ქრისტიანულ დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ სოციალური კავშირის ფრაქციის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამიერიდან კანცლერ ადენაუერს აქვს მოქმედების სრული თავისუფლება ახალი კაბინეტის შედგენისათვის. კანცლერს ეძლევა წინადადება შექმნას ახალი მთავრობა ისე, რომ იგი მოქმედებდეს 1965 წლამდე, ე. ი. ბუნდესტაგის ახალ არჩევნებამდე და რომ ამრიგად ადენაუერის შეცვლას არ მოჰყვეს „გართულება“.

ბონის პოლიტიკური წრეებში, როგორც ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია დასასაგენტოს ცნობაში, მიიჩნიეთ, რომ ადენაუერის განზრახვა დატოვოს კანცლერის პოსტი ბუნდესტაგის რეშენებულებათა ვადის შუა ხანში, ე. ი. დაახლოებით 1963 წლის დამლევს, ძალაში რჩება.

მმართველი კოალიციის წრეებში განზრახული აქვთ აშკარად განაცხადონ, რომ ყველაზე შესაფერი კანდიდატია კანცლერის პოსტზე არის ახლანდელი ვიცე-კანცლერი და მეურნეობის მინისტრი ერჰარდი.

ᲙᲘᲣᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲚᲘ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲑᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 28 ნოემბერი. (საკდესი). ჰიტლერელ ჯალათთა კიდევ ერთი დანაშაული კვლავ აღმოჩნდა ოსვენციმის ყოფილი ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე. აქ აღმოაჩინეს ძლიერმოქმედ საწამლავ ნივთიერებათა საწყობი.

პოლონეთის ჯარის ქიმიური სამსახურის სპეციალურმა ქვეგანყოფილებამ მიწისქვეშ მდებარე ამ საწყობიდან ამოიღო 62 ყუთი, რომლებშიც ჩაწყობილ ბოთლებში დაახლოებით 700 კილოგრამი საწამლავი ნივთიერება იყო.

ᲙᲘᲣᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

□ ᲔᲠᲐᲧᲘᲡ გენერალ-გუბერნატორ სალიმ აბდის განკარგულებიო დაიხურა პროგრესული ყოველკვირეული „არბაბტაშ თამუზი“ (14 ივლისი). მისი გამომცემელი იყო ერაყის ქალთა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ადვოკატი ნაიმა ვაქილი. ყოველკვირეული ბეჭდავდა სტატიებს მშვიდობისა და დემოკრატიული გარდაქმნების დასაცავად ერაყში.

□ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ჩავიდა ფინეთის მთავრობის დელეგაცია, რომელმაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება უნდა აწარმოოს საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 1963 წლისათვის.

□ 28 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ იტალიის პრესა იუწყებოდა, რომ ავტომობილის კატასტროფის შედეგად დაშავდა იტალიის სოციალისტური პარტიის მდივანი პ. ნენი. როგორც 27 ნოემბერს გამოირკვა, იგი სასწაულით გადარჩენილა უვნებლად ავტომობილის კატასტროფის შემდეგ, რაც რომის მიდამოებში მოხდა. მანქანა, რომელშიც ნენი და მისი ოჯახის წევრები იყვნენ, კიუვეტში გადაყირავდა სხვა ავტომანქანასთან დაჯახების შედეგად. მგზავრები უმნიშვნელოდ დაშავდნენ.

□ ᲐᲛᲒᲝᲮᲝᲑᲘᲡ ჩაქრობის შემდეგ გვატემალაში მასობრივი დაპატიმრება დაიწყო. პრეზიდენტ იდიგორას ფუენტეს ეროგულმა ჯარებმა 26 ნოემბერს დაიპატიმრეს გვატემალის სამხედრო-საბაჟო ძალების მთელი შემადგენლობა.

□ ᲐᲛᲘᲚᲬᲘᲜᲝᲤᲔᲚᲨᲘ (დასავლეთი გერმანია) დაიწვა შტარნბერგის ტბაზე მდებარე გემთსაშენის „მარკუს გლასის“ დიდი ნაწილი. ხანძარმა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენა გემთსაშენს.

□ ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘᲡ რაიონში . გაიმართა საბრძოლო მანევრები „სინან-1“, რომელშიც მონაწილეობდნენ საინფანტრო სასწავლებელი და სხვა ნაწილები. მანევრები მიმდინარეობდა ატომური ომის წარმოებისათვის შესაფერის პირობებში. მას ესწრებოდნენ ნატოს და სენტოს ქვეყნების მეთვალყურენი, აგრეთვე წარმომადგენლები ამერიკის სამხედრო მისიისა თურქეთში.

□ 27 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქებს ილცენსა და ლუნებურგს შორის რელსებს ასცდა სატვირთო მატარებელი. ჰამბურგსა და ჰანოვერს შორის სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა. (საკდესი).

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲐᲮᲔ

რა არის „საერთო გაზარი“?

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ევროპის „საერთო ბაზრის“ წარმოქმნა ორმა პირობამ განსაზღვრა: მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოშობამ და კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონის მოქმედებამ. მეორე მსოფლიო ომის შედეგად წარმოშობილი ზეაღმავალი და პროგრესული მსოფლიო სოციალისტური სისტემა დაუპირისპირდა ქვედაღმავალსა და რეაქციულ კაპიტალიზმს, რომლის ძალები სულ უფრო სუსტდება. ეს მ

ჯორჯ ბალანჩინი: ბედნიერი ვარ, რომ ვნახე ახალი საქართველო

წარმატებით ჩაიარა თბილისში ამერიკული საბალეტო ჯგუფის „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ გასტროლებმა. საქართველოს დედაქალაქიდან გამგზავრების წინ ჯგუფის ხელმძღვანელმა — ცნობილმა ბალეტმეისტერმა ჯორჯ ბალანჩინმა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— **თქვენი** გაზეთის მკითხველებმა ალბათ იციან, რომ ჩემი ნამდვილი გვარია ბალანჩივაძე, სახელი — გიორგი, რომ მე გახლავართ შვილი გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, პირველი ქართული ოპერის „დარეჯან ცბიერის“ ავტორის მელიტონ ბალანჩივაძისა. დავიბადე რუსეთში, ვსწავლობდი მაშინდელ პეტერბურგში, 1923 წელს წავედი პარიზში, ხოლო შემდეგ კი ნიუ-იორკში, სადაც ვცხოვრობ უკვე 30 წელია.

და, აი, განხორციელდა ჩემი დიდი ხნის სურვილი, დიდი ხნის ოცნება — სიცოცხლის ორმოცდამეჩვიდმეტე წელს, როგორც იქნა, ფეხი დავდგი მამაჩემის მშობლიური მიწაზე, ორმოცი წლის განმავლობის შემდეგ ისევ შევხვდი ჩემს ძმებსა და ნათესავებს!

ძნელია გადმოგცეთ ის სიხარული და მღელვარება, რასაც საქართველოში ყოფნის დღეებში განვიცდიდი. და ეს არც არის გასაკვირველი.

თქვენ შთაბეჭდილებებზე მეკითხებით?.. კეთილი, გიპასუხებთ: როცა ჩვენი დროის კულტურული ადამიანი სხვა ქვეყანაში მიდის, მან უკვე წინასწარ იცის, თუ რას ნახავს იქ. ვთქვათ, მაგალითად, როცა იგი პარიზს ესტუმრება, რა თქმა უნდა, დაათვალიერებს ეიფელის კოშკს, დიდებულ ვერსალის სასახლეს. მაგრამ განსაკუთრებული გაკვირვების გრძნობას არ განიცდის, რადგან წინასწარ იცოდა, რომ პარიზში ნახავდა ამ კოშკს, ამ სასახლეს.

მეც, რასაკვირველია, წინასწარ ბევრი რამ ვიცოდი თბილისზე, საქართველოზე. ვიცოდი წიგნებიდან, პრეხიდან, ზეპირი გადმოცემიდან, მაგრამ ყოველივე იმან, რაც აქ სინამდვილეში ვნახე, გამოგიტყდებით, პირდაპირ გამაოცა. თბილისი — ეს არის ბეშმარიტად თანამედროვე ქალაქი თავისი ყოფა-ცხოვრებით, თავისი არქიტექტურული ნაგებობებით და იერით, ლიტერატურითა და ხელოვნებით, და, რაც მთავარი და ჩემთვის ესოდენ სასახარულოა, თავისი კულტურული მოსახლეობით.

ვერ გამოვთქვამ, რაოდენ სასიამოვნო და ძვირფასია ჩემთვის, რომ აქ სიყვარულით ინახავენ და პატივს სცემენ მამაჩემის ხსოვნას. მუსიკალურ დაწესებულებებში კედლებზე ჰკიდია მისი სურათები, გამოცემულია წიგნები მის შემოქმედებაზე, სასწავლებლებს მის სახელს ატარებენ. ყოველივე ამისათვის თავს დაბლა ვხრი მთელი ქართველი ერის წინაშე!

ვიყავი ქუთაისში, ვინახულე მამის საფლავი. გულისხმიერმა ქუთაისელებმა თავიანთი ქალაქი გამაცნეს. ძალიან ბევრი რამ არის აქ მიმზიდველი და მშვენიერი! მოწმე გავხდი საინტერესო კონტრასტებისა — უძველესი ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისა და უამთა სიავისაგან ფერგადასული ძველებური ფრესკების გვერდით ჩქეფს მძლავრი ინდუსტრიის მაკისცემა.

ვესტუმრე გურიასაც. არასოდეს არ დამავიწყდება ის განსაკუთრებული გულთბილობა, როგორითაც სტუმართმოყვარე მახარაძელებმა მიმიღეს. მასპინძლობას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ყველაზე ძვირფასი, რითაც სუფრაზე გამიმასპინძლდნენ, ეს იყო გულური სიმღერები და ცეკვები.

ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში „კრიმანჭელი“. როდენ დიდ და ღრმა კულტურას უნდა ფლობდეს ხალხი, რომ შეძლოს ასეთი არნახული პოლიფონია! ნამდვილად საოცარია! მაგრამ მაინც ჩემზე, როგორც ქორეოგრაფზე, ნამდვილად დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხურმა ცეკვებმა. ყველას თვალებში შევიცქეროდი, რომ არ გამოვრჩენოდა არც ერთი მოძრაობა, არც ერთი ეუსტი, არც ერთი ჰა.

დარწმუნებული ვარ — როცა აქაური ახალგაზრდა ეროვნული ტანსაცმლით იმოსება, მაშინ იგი უფრო მეტ პატივს სცემს თავის თავს, თავის ეროვნულ ღირსებებს; ვფიქრობ, აქედან მომდინარეობს ცეკვის ხასიათიც — ამაყი, თამამი, გადამწყვეტი...

უკვე ვთქვი და ახლაც მინდა კიდევ გავიმეორო, რომ ეს ცეკვები მშვენიერი ყვავილია, მახარაძეში კი ამ ყვავილთა წარმტაცი თაიგული ვნახე. გახა ვინმეს მოსწყენოდება მშვენიერი ყვავილებით დატკბობა?! სამწუხაროდ, ბევრი დრო არ მქონდა, თორემ საათობით დავჯდებოდი და ვუყურებდი ამ მომხიბლავ ცეკვებს.

აქ მიღებულმა დიდმა შთაბეჭდილებებმა ახალი, ჩემთვის საინტერესო მუშაობისათვის შთამაგონეს. შესაძლებელია, ეს დიდი გამბედაობა იქნება ჩემი მხრით, მაგრამ გადავწყვიტე ნიუ-იორკში დავდგა ბალეტი ქართულ თემებზე. შუსიკას ბალეტისათვის ლ. მეფარიშვილი — ეს ერთ-ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა კომპოზიტორია. ეს ბალეტი ეძღვნება ჩვენ ეროვნულ ფერადოვნებას, ეროვნულ ფერებს,